საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2010 წლის 06 სექტემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 26 დეკემბრის № 721 ბრძანების მე–18 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.
2. კანდიდატების რეგისტრაცია დაწყებულ იქნას 2010 წლის 07 სექტემბერს და გაგრძელდეს ამავე წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.
3. დამტკიცდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საარჩევნო კომისიაში წარსადგენი საბუთების ნუსხა: განცხადება; უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი დამოწმებული ნოტარიული წესით; ცნობა უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის სტაჟის შესახებ; ანკეტა (CV); პირადობის მოწმობის ასლი; 2 ფოტო (3X4); სამოქმედო გეგმა; ცნობა სრული ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ.
4. დადგენილებით იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ.
5. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში თვალსაჩინო ადგილას.
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 6 სექტემბრის სხდომის (ოქმი № 2) დადგენილება.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**